განკარგულება:**g-37.37212232**
თარიღი:**11/08/2021**

განკარგულება №45

ქ. ოზურგეთი 11 აგვისტო 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების შესაბამისად საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

მუხლი 2. განისაზღვროს ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 3. ამ განკარგულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზეც, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 4. ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

მუხლი 5. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

მუხლი 7. ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 სექტემბრის N34 განკარგულება.

მუხლი 8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი